

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
3. ძირითადი საშუალებები	13
4. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
6. ფული და ფულის ექვივალენტები	14
7. საწესდებო კაპიტალი.....	14
8. ნასესხები სახსრები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
10. ამონაგები რეალიზაციიდან	15
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	153,607	56,365
გაცემული სესხები		83,709	83,709
სულ გრძელვადიანი აქტივები		237,316	140,074
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4	791,815	1,097,373
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	47,202	71,144
გადახდილი ავანსები		553,987	185,368
ფული და ფულის ექვივალენტები	6	31,017	48,155
სულ მიმდინარე აქტივები		1,424,021	1,402,040
სულ აქტივები		1,661,337	1,542,114
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	16,183	16,183
გაუნაწილებელი მოგება	7	757,068	749,586
სულ საკუთარი კაპიტალი		773,251	765,769
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8	284,450	211,165
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		284,450	211,165
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	8	497,586	455,824
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	74,884	97,551
მიღებული ავანსები		31,166	11,805
სულ მიმდინარე ვალდებულებები		603,636	565,180
სულ ვალდებულებები		888,086	776,345
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,661,337	1,542,114

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 2 ოქტომბერს:

 გიორგი ფოფორაძე
 გენერალური დირექტორი

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სკუტ სკუტ“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ამონაგები რეალიზაციიდან	10	3,429,815	3,661,994
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(2,195,055)	(2,351,938)
საერთო მოგება		1,234,760	1,310,056
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(996,308)	(804,003)
ცვეთის ხარჯი	3	(29,304)	(6,990)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(10,297)	(14,527)
საოპერაციო მოგება		198,851	484,536
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი		(115,184)	(56,865)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(13,149)	5,449
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		1,079	(14,274)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		71,597	418,846
მოგების გადასახადი		(1,227)	(1,776)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		70,370	417,070

გიორგი ფოფორაძე
გენერალური დირექტორი

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

შპს „სკუტ სკუტ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	28,842	332,516	361,358
წლის წმინდა მოგება		417,070	417,070
სხვა ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	(12,659)		(12,659)
წლის სრული შემოსავალი			
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,183	749,586	765,769
წლის წმინდა მოგება		70,370	70,370
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(46,789)	(46,789)
წლის სრული შემოსავალი			-
დივიდენდები (მე-7 შენიშვნა)		(16,099)	(16,099)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,183	757,068	773,251

გიორგი ფოფორაძე
გენერალური დირექტორი

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

შპს „სკუტ სკუტ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ლარში)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	90,061	(158,986)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(99,448)	(178,094)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4,928	298,803
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(4,459)	(38,277)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(12,679)	1,296
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	48,155	85,136
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	31,017	48,155

 გიორგი ფოფორაძე
 გენერალური დირექტორი

7-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სკუტ სკუტ“ (შემდგომში - „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 404513889, არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 20 მაისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ა. ერისთავ- ხოშტარას ქ., N1.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მოტოციკლების, მოპედების, მათი ნაწილების და აქსესუარების გაყიდვა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

კომპანიის მფობელები არიან:

გიორგი ფოფორაძე - 50%

გიორგი მონავარდისაშვილი - 50%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამეა მითითებული.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

გ) უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანსზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსებით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარი)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

უცხოური ვალუტა	12/31/22	12/31/21
აშშ დოლარი (USD)	2.7020	3.0976
ევრო (EUR)	2.8844	3.5040

დ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

1. მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
2. ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
3. მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
4. აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
5. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და/ან დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების

საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

კომპიუტერები, საოფისე ინვენტარი და სხვა	2-6 წელი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	5-10 წელი

აქტივებს ცვეთა ერიცხებათ მათი ექსპლუატაციაში მიღების თარიღიდან.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვ) სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა მიღებად ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულებაში შედის შესყიდვის ფასი, იმპორტის გადასახადი და დაუბრუნებელი გადასახადები, ასევე ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის შეძენას. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აისახება გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა მიღებად ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

ზ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

თ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი

მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ი) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კ) ნასესხები თანხები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

ლ) გაცემული სესხები

გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარი)

3. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები, საოფისე ინვენტარი და სხვა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება			
დეკემბერი 31, 2020	19,971	6,703	26,674
შემოსვლები	46,721	-	46,721
გასვლები	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	66,692	6,703	73,395
შემოსვლები	35,547	90,987	126,534
გასვლები	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	102,240	97,690	199,929
დაგროვილი ცვეთა			
დეკემბერი 31, 2020	(9,022)	(1,005)	(10,028)
ცვეთის ხარჯი	(5,590)	(1,399)	(6,990)
გასვლები	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	(14,613)	(2,405)	(17,018)
ცვეთის ხარჯი	(13,373)	(15,931)	(29,304)
გასვლები	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	(27,986)	(18,336)	(46,322)
საბალანსო ღირებულება			
დეკემბერი 31, 2021	52,079	4,298	56,378
დეკემბერი 31, 2022	74,254	79,354	153,607

4. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გასაყიდად გამოიზნული მარაგები	777,438	1,088,851
სხვა მარაგები	14,377	8,522
სასაქონლო მატერიალური მარაგები, სულ	791,815	1,097,373

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია ხარჯად და ასახულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, 2,195,055 ლარს გაუტოლდა (2021 წ.: 2,351,928 ლარი).

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,202	71,144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სულ	47,202	71,144

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარი)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ფული საბანკო ანგარიშებზე	30,824	31,097
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	193	17,058
ფული და ფულის ეკვივალენტები, სულ	31,017	48,155

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებულ, როგორც მიმდინარე, ისე სადეპოზიტო ანგარიშებს.

7. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 16,170 ლარს. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 16,099 ლარის დივიდენდი.

8. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები (ა)	497,586	455,824
სულ მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	497,586	455,824
	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები (ა)	182,589	81,367
დამფუძნებლისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები (ბ)	101,861	129,798
სულ გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	284,450	211,165

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარში)

(ა) ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები

კომპანია კომერციული ბანკებისგან იღებს სესხებს თავისი საბრუნავი კაპიტალის და გრძელვადიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში ქართული კომერციული ბანკებისგან აღებული სესხები გამოხატული იყო ლარში.

(ბ) დამფუძნებლისგან მიღებული სესხები

წინა საანგარიშო წლებში კომპანია დამფუძნებლისგან სესხებს იღებდა თავისი კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების დასაფინანსებლად. 2022 წლის განმავლობაში კომპანიას დამფუძნებლისგან სესხი აღარ აუღია. დამფუძნებლისგან მიღებული სესხები გამოხატულია ლარში და მათი ვადა 2024 წლის ბოლომდეა.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	45,454	89,156
სხვა	29,430	8,395
სულ მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	74,884	97,551

10. ამონაგები რეალიზაციიდან

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	3,429,815	3,661,994
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	3,429,815	3,661,994

კომპანიამ აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,202	71,144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სულ	47,202	71,144

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებები.

შპს „სკუტ სკუტ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარი)

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
საქონლის მიწოდება	(2,195,055)	(2,351,938)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,195,055)	(2,351,938)

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
შრომის ანაზღაურება	(619,228)	(446,217)
მარკეტინგის ხარჯი	(117,756)	(133,846)
იჯარის ხარჯი	(102,571)	(54,511)
კომუნალური ხარჯები	(35,539)	(39,510)
მიღებული მომსახურება	(31,588)	(32,585)
საბანკო მომსახურება	(20,238)	(40,901)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(18,178)	(1,513)
საკონსულტაციო ხარჯი	(15,137)	(9,350)
მივლინების ხარჯები	(8,961)	(12,131)
რემონტის ხარჯი	(6,002)	(15,617)
საოფისე ხარჯები	(5,172)	(4,904)
სხვა ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები	(15,937)	(12,918)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(996,308)	(804,003)

გიორგი ფოფორაძე
გენერალური დირექტორი